



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №31**

7 სექტემბერი 2015 წელი

ქ. მარნეული

**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების  
განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 156-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ საქართველოს კანონის მე-100 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ა დ გ ე ნ ს:**

**მუხლი 1.**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელსაც არ მიეცემა „მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 ოქტომბრის N35 დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო, საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის, ყოველთვიურად უფლებამოსილების განხორციელებისათვის, განესაზღვროს ზღვრული მოცულობა თვეში 397 (სამასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ძალაში შევიდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

**მუხლი 3.**

წინამდებარე დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ივნისის N19 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 08.06.2015 N270070000.35.159.016198)

ნაბი აბდულაევი  
მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე: